სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	ოზურგეთის „არწივები“ - ბოლნისის „ყოჩები“		
გუნდი	ოზურგეთის „არწივები“	შეჯიბრი	დიდი 10
მატჩის თარიღი	16/09/2023	მატჩის ადგილი	ფოთი
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
სტატუსი	მოთამაშე	დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	სერჯიო სტალმესტერი		
☐მსაჯი ☒საითინგ კომისარი	გელა მშვილდაძე	დარღვევა	☐ აღიარებულია ☒ უარყოფილია
დარღვევა	**9.13** მოთამაშემ არ უნდა შებოჭოს მოწინააღმდეგე ადრე, გვიან ან სახიფათოდ. სახიფათო ბოჭვა მოიცავს (და არ არის ლიმიტირებული) ბოჭვას ან ბოჭვის მცდელობას მხრების ხაზს მაღლა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბოჭვა იწყება მხრების ხაზს დაბლა	☐ წითელი ბარათი ☒ საითინგი ☐ სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	19/09/2023	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ირაკლი ჩიქავა, ვახტანგ სამხარაძე, აკაკი კერესელიძე, ლევან ჩიკვაიძე, ედუარდ ნაჭყებია;		
დამრღვევის დასწრება	☐ კი ☒ არა	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი	„არწივების“ მწვრთნელი გ.ამირხანაშვილი(დისტანციური)	აღნიშნეთ ვინ	

განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის საითინგ კომისრის, გელა მშვილდაძის, საითინგი; ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა;

დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის და დამხმარე მასალების ძირითადი ელემენტები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის საითინგ კომისრის, გელა მშვილდაძის, საითინგი;
2. ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა;
3. ოზურგეთის „არწივები“-ს მხრიდან წარმოდგენილი ფოტო და ვიდეო მასალა;

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)

არა

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

ოზურგეთის „არწივები“-ს მწვრთნელის გ.ამირხანაშვილის განცხადება(ელ.ფოსტა) : *გავეცანით თქვენი 18 სექტემბრის წერილს არწივები-ყოჩების 16 სექტემბრის მატჩში მომხდარი ფაქტის სავარაუდო დარღვევის დეტალური აღწერის შესახებ.*

ვადასტურებთ, რომ შეჯახება მოხდა.

როგორც მოგეხსენებათ, აირ-ბის წესებით, პირველი და პრიორიტეტული არის ის, რომ მოთამაშე დაცული იყოს თავისა და მხრის ზედა ნაწილში კონტაქტისაგან.

ჩვენს მიერ შედგენილი ფოტო და ვიდეო კოლაჟი სრულად გამორიცხავს სერჯიო სტალმესტერის მიერ კონტაქტს N21 ყოჩების მორაგბის თავის არეში. სტალმესტერის თავი შედის კონტაქტში მოწინააღმდეგის მხართან. პლიუს ამას, სტალმესტერის მხარი ვერც კი ეხება N21 მოთამაშის მხარს, ვინაიდან კლდიაშვილს ბურთი უჭირავს ზედა მხრისა და მკერდის არეში. ჩვენი ხედვაა, რომ სერჯიო სტალმესტერს ჰქონდა საკმარისი დრო ბურთის გადაკიდებიდან კონტაქტამდე მოეხდინა რეაგირება ლეგარული ბოჭვისა და მოხრილიყო. მისი თავი არ უნდა წასულიყო ყოჩების N21-ის მხრის კონტაქტში.

სავსებით გაუგებარია ყოჩების გუნდის ექიმის კომენტარი, რომელიც ადასტურებს ტვინის შერყევის ფაქტს. ეს შემთხვევა მოხდა პირველი ნახევრის 38-ე წუთზე, ამის შემდეგ, მოთამაშემ ჩაამთავრა პირველი ნახევარი, გავიდა შესვენებაზე და ჩვეულებრივ გააგრძელა თამაში მეორე ნახევარში. შეიცვალა მხოლოდ მე-60 წუთზე. ექიმს არ მიუმართავს არც სასწრაფო დახმარების პერსონალისთვის. თუ ამ ფაქტს ადასტურებს, რა უფლება ჰქონდა მას, მოთამაშეს გაეგრძელებინა თამაში.

ოზურგეთის „არწივები“-ს სამწვრთნელო შტაბს და ხელმძღვანელობას იმედი აქვს თქვენი კანონიერი გადაწყვეტილების.მზად ვართ თანამშრომლობისთვის.

დანართის სახით გიგზავნით მომხდარი ფაქტის ამსახველ დეტალურ ფოტო-ვიდეო მასალას.

ფაქტობრივი მოცემულობა და მსჯელობა

1. 16/09/2023 გაიმართა დიდი 10-ს II ტურის მატჩი ოზურგეთის „არწივები“-სა და ბოლნისის „ყოჩებს“ შორის.
2. მატჩის საითინგ კომისრის, გელა მშვილდაძის საითინგის მიხედვით (ციტირება) : *„თამაშის 38 წუთზე ბურთს ეუფლება არწივების 15 ნომერი სერჯიო სტალმესტერი, რომელიც ბურთს ფეხით კიდებს მოწინააღმდეგის ნახევარზე და თავად მიყვება, ყოჩების მხრიდან ბურთს იჭერს 21 დავით კლდიაშვილი, რომელზეც კეთდება მაღალი ბოჭვა, კონკრეტულად არწივების 15 ნომერი მოწინააღმდეგეს ეჯახება მარჯვება მხრის ზედა ნაწილით სახის არეში. ბოჭვა არის მაღალი რისკის შემცველი, შესრულებული მაღალ სისწრაფეში, მოხრის გარეშე. არწივების 15 ნომერს ჰქონდა საკმაო დრო მისი ქმედების თავიდან ასაცილებლად, ანუ ბოჭვა არ იყო შემთხვევითი. შეჯახების შედეგად ყოჩების მორაგბე დაეცა მინდორზე ტკივილით და თავზე იკიდებდა ხელს. შემამსუბუქებელი გარემოება არ ფიქსირდება. როგორც ყოჩების მთავარ მწვრთნელთან სატელეფონო საუბარში შევიტყვეთ, მოთამაშეს არ ახსოვს კონკრეტულად შეჯახების მომენტი, და ვერ აფიქსირებს იყო კონტაქტი თავი თავთან თუ მხარი თავთან, თუმცა თავთან კონტაქტს ადასტურებს. ასევე კონტაქტი მოხდა გუნდის ექიმთან, რომელმაც ზოგადი მდგომარეობა აღწერა დაშავებული მოთამაშის და დაადასტურა ტვინის შერყევის ფაქტი, რის გამოც მოთამაშე შესაცვლელი გახდა მეორე ტაიმის 60 წუთზე.*
   ვიდეოს სხვა რაკურსი არ გვაქვს. ექიმისა და მოთამაშის გამოკითხვა წერილობით ფორმაში მოგვეწოდება 2-3 დღის ვადაში, რადგან კლუბის მენეჯერი არ იმყოფება საქართველოში და მთავარ მწვრთნელს წვდომა არ აქვს მეილთან, მაგრამ ზეპირსიტყვიერად დაგვიდასტურა ყველაფერი ზემოთ ხსენებული.
   შეჯამება: მომენტი არის უხეში წესების დარღვევით თამაში, დაზიანების მაღალი რისკის შემცველი, შემამსუბუქებელი გარემოების გარეშე, გაუთვალისწინებლობით ჩადენილი.
   რეკომენდაცია წითელი ბარათი“

მსჯელობა

სადისციპლინო კომისიამ სხდომაზე განიხილა მხარეების (საითინგ კომისარი გელა მშვილდაძე - ოზურგეთის „არწივები“) მიერ წარმოდგენილი მასალები, იმსჯელა მოწოდებულ მასალებში აღნიშნული დარღვევის აღმწერ არგუმენტებსა და კონტრარგუმენტებზე და სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 10.4 პუნქტის (მტკიცებულების სტანდარტი სადისციპლინო ტრიბუნალის მიერ წამოჭრილ ნებისმიერ საკითხზე ყოველთვის ემყარება ალტერნატივების ბალანსის პრინციპს და წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ კრიტერიუმებს.) მიხედვით, დაზუსტებით ვერ დაადგინა თავში კონტაქტის ფაქტი, რის გამოც გამოირიცხა „თავის კონტაქტის პროცესი“.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სადისციპლინო კომისიამ მხარი არ დაუჭირა მატჩის საითინგ კომისრის საითინგს.

გადაწყვეტილება			
დარღვევის სტატუსი:	☐ მიღებულია	☒ უარყოფილია	☐ სხვა (აღწერეთ)

სანქცია

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი)	არა	☐ წითელი ბარათი საკმარისია
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	არა	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი. დისკვალიფიკაციის პერიოდში შესული თამაშები.	არა	
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	არა	

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	20/09/2230

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.**